საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/791

23 სექტემბერი, 2022 წელი ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში შესახებ''
ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის №01-08/623 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო კომისიის დასკვნის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ნ. ჯაბნიძის 2022 წლის 21 სექტემბრის MES 0220001129675 და სასწავლო პროცესის დეპარტამენტის 2022 წლის 23 სექტემბრის MES 7 22 0001148707 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის №01-08/623 ბრძანებაში **შევიდეს ცვლილება და დამატება,** კერძოდ:

ა) ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის №01-08/623 ბრძანების დანართ N1-ს დაემატოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი თამარ ეჯიბია და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი დავით დავითაძე 83-ე და 84 -ე გრაფის სახით და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

	სტუდენტის სახელი და გვარი	სტუდენტის პირადი ნომერი	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	აღიარებული კრედიტი	ძირ. საგანმანათ. ერთეული(ფაკულტეტი)	პროგრამა	სემესტრი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
83	თამარ ეჯიბია		ბაკალავრიატი	180	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	ეკოლოგია	VII	2250
84	დავით დავითაძე		ბაკალავრიატი	72	ეკონომიკისა და ბიზნესის	ბიზნესის ადმინისტრირება	III	2250

ბ) შევიდეს ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის №01-08/623 ბრძანებაში და დანართ N2 დან ამოღებული იქნას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი თამარ ეჯიბია.

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში და წარდგენილ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს-სტუდენტების პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**